



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N11**

ქ. ლანჩხუთი

02. 05. 2018 წელი

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიორგი მორჩილაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლოზ კოზანაშვილი, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე, რათა დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხები.

საკრებულოს წევრის, **ამირან გიგინეიშვილის** თქმით, წინა დღით ვერ დაესწრო საკრებულოს კომისიის სხდომას, რადგან ამის შესახებ დროულად არ შეატყობინეს. საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, საკრებულოს აპარატი ვალდებულია დაინტერესებულ პირებს კომისიის სხდომის თაობაზე გაუგზავნოს ინფორმაცია მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით კომისიის სხდომის ჩატარებამდე 2 დღით ადრე. მან ასევე აღნიშნა, რომ სულ ორი სახის საკრებულოს სხდომაა – კალენდარული და რიგგარეშე. კალენდარული სხდომები ტარდება ისეთ საკითხებზე, რომელიც გაწერილია ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოს დღის წესრიგით. შესაბამისად, რიგგარეშე სხდომის მოწვევა ხდება ისეთი საკითხების განსახილველად, რომელიც არ არის გაწერილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს კალენდარში. რაც შეეხება წარმოდგენილ საკითხს, ეს არის ჩვეულებრივი კალენდარული საკითხი, ვინაიდან მასზე ადმინისტრაციული წარმოებაა დაწყებული. გამოდის, რომ რიგგარეშე სხდომის მოწვევის საფუძველი არ შეიძლება იყოს კალენდარული სხდომის საკითხის შემოტანა. ამასთან, მუნიციპალიტეტის მერიიდან საკითხი შემოიტანეს სხდომის წინა დღეს, მაგრამ 26-ე მუხლის მიხედვით, რეგლამენტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოთხოვნიდან ერთი კვირის ვადაში საკრებულოს თავმჯდომარე იწვევს რიგგარეშე სხდომას. აქ არ წერია, რომ მაქსიმუმია. იმავე რეგლამენტის მიხედვით, საკრებულოს თავმჯდომარე მოთხოვნის წარდგენიდან სამი დღის ვადაში აქვეყნებს ცნობას რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ და მოთხოვნის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში იწვევს რიგგარეშე სხდომას ან მოთხოვნის წარდგენიდან სამი დღის ვადაში აქვეყნებს მოტივირებულ უარს. საკრებულოს წევრის თქმით, არარა საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. აქედან გამომდინარე, დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას არ დაესწრება.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგს.

კენჭისყრას ესწრებოდა 19 დეპუტატი.

მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიაძე**. მან აღნიშნა, რომ 2017 წლის 27 დეკემბრის N2712 განკარგულებით ლანჩუთის მუნიციპალიტეტს სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებისათვის გამოეყო 3200000 ლარი. აქედან I ეტაპზე 271741 ლარი მიიმართოს ფიზიკური პირების დაზიანებული სახლების სახურავების და ელ-გაყვანილობის მასალების შეძენისათვის 209415 ლარი, ჯურთყვეთის ადმინისტრაციული შენობის სახურავის შეცვლაზე 42649 ლარი, ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის დაზიანებული სახურავის და ფასადის აღდგენაზე 19677 ლარი. ტენდერების შედეგად გამოთავისუფლებული 25608 ლარი და გაუნაწილებელი 2928259 ლარი, სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის 23.04.2018 წლის N472 წერილის თანახმად მიიმართოს შემდეგ პროექტებზე: გზების რეაბილიტაციაზე 1499964 ლარი, ხიდების რეაბილიტაციაზე 370736 ლარი, ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებზე 1071045 ლარი, წყალმომარაგების რეაბილიტაციაზე 12122 ლარი.

საპროექტო დოკუმენტაციის და საამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვის ხარჯი გაიზარდოს 80000 ლარით. ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი „იავნანა“-ს დაფინანსება გაიზარდოს 1700 ლარით, სოც-კულტურული ღონისძიებების ხარჯი გაიზარდოს 54600 ლარით, მათ შორის არტ გენის ფესტივალის ჩატარებისათვის გამოეყოს 24600 ლარი, შემოქმედთა წახალისებისათვის 1000 ლარი და ტრანსპორტირებისათვის 1000 ლარი, გურიის ტურიზმის განვითარებისათვის 28000 ლარი. ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის, ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრის სუფსიდირება გაიზარდოს 11000 ლარით, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ცენტრის დაფინანსება 26 მაისის ღონისძიებასთან დაკავშირებით გაიზარდოს 11000 ლარით, ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩუთის გურია“-ს დავალიანების დაფარვის მიზნით გამოეყოს 40000 ლარი, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 15000 ლარით (ჩიბათის საფეხბურთო გუნდის ფუნქციონირებისათვის).

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნას არაფინანსური აქტივების კლების მუხლის 213300 ლარით ზრდის ხარჯზე.

მუნიციპალიტეტის მერიის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 5000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს მივლინების ხარჯი 5000 ლარით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 2000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს მივლინების ხარჯი 2000 ლარით.

როგორც ცნობილია, მუნიციპალიტეტში შეიქმნა შპს ქალთა საფეხბურთო კლუბი „ლანჩუთის ლანჩუთი“. ფინანსურ მხარესთან დაკავშირებით დღემდე ვერ მოხერხდა ურთიერთშეთანხმება ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრსა და აღნიშნულ შპს-ს შორის. მხოლოდ ახლახანს იქნა მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით, რომლის გათვალისწინებით, ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის დაფინანსება შემცირდეს 28000 ლარით და შპს ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩუთის ლანჩუთი“-ს დაფინანსება განისაზღვროს 28000 ლარით.

საკრებულოს წევრის, **კახაბერ ასკურავას** თქმით, ბიუჯეტი არავის პირადი საკუთრება არ არის, არამედ მას აქვს თავისი კოდექსი. 25 წელზე მეტია საქართველო ზეიმობს დამოუკიდებლობის დღეს და ახლა გაახსენდა ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ცენტრს 26 მაისი. ასევე, შემოქმედთა წახალისების თანხა თავიდანვე უნდა

ყოფილიყო გათვალისწინებული სოც-კულტურული ღონისძიებების მუხლში. რაც შეეხება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს, ადმინისტრაციული წარმოება ამასთან დაკავშირებით დაიწყო 35000 ლარზე და თანდათან გაიზარდა 40000 ლარამდე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ 35000 ლარს დაემატა გაზის და ელექტროენერჯის გადასახადი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ცენტრში მიმდინარეობდა რეორგანიზაცია. რაც შეეხება ბიუჯეტს, იგი ცოცხალი ორგანიზმია და საჭიროებიდან გამომდინარე ხორციელდება გარკვეული ცვლილებები, რაც ჩვეულებრივი საბიუჯეტო პროცესია.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ კატეგორიულად მოითხოვს წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენია კონკრეტულად ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს დავალიანების თანხა. ხალხი ღირსია და უნდა იცოდეს, რაში დაიხარჯა მისი ფული. დეპუტატის თქმით, ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილება მხოლოდ საფეხბურთო კლუბთან რომ ყოფილიყო დაკავშირებული, მაინც არ დაუჭერდა საკითხს მხარს.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გიორგი მორჩილაძე.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-სთან დაკავშირებით, ყველაზე მეტად აინტერესებს, თუ რა ხდება. დეტალურად უნდა გახდეს ცნობილი დავალიანების ყოველი თეთრის შესახებ. შესულია აუდიტი, რომელიც უახლოეს დღეებში თითოეულ მათგანს ოფიციალურად მიაწვდის ინფორმაციას. ვალი დათვლილია და შეადგენს 372000 ლარს. აქედან, 154000 ლარი არის სახელფასო დავალიანება. კონკრეტულად 40000 ლართან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ 4000 ლარი მარტო გაზის დავალიანებაა დასაფარი. ამას ემატება ელექტროენერჯის გადასახადიც.

საკრებულოს წევრი, **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, თუ ვისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგა იმასთან დაკავშირებით, რომ ბაზა არის ასეთ მდგომარეობაში. პროექტი უვარგისი იყო, რადგან უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული საბაზანოში დუში და ცხელი წყალი. ფრაქციამ „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ წერილობით მოითხოვა პროექტთან დაკავშირებით ექსპერტიზის დასკვნა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ეს პროექტი გადაგზავნილია პროკურატურაში. თავის მხრივ, ეთანხმება საკრებულოს წევრს და დაინტერესებულია პირადად, რომ პასუხი უნდა აგოს ყველამ, რაც უნდა პატარა შემთხვევასთან იყოს დაკავშირებული, რადგან ბიუჯეტი და მით უმეტეს, მუნიციპალიტეტი არავის საკუთრება არ არის.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 20 დეპუტატი.

მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 დეპუტატი (კახაბერ ასკურავა).
მიღებულ იქნა დადგენილება N25 (02.05.2018)

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

